



2024 წლის სახელმწიფო  
ბიუჯეტის იანვრის თვის  
შესრულების

**მიმოხილვა**

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი





2024  
თებერვალი

# ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 1,858.6 მლნ ლარი	30.6% 3 თვის გეგმის	7.6% წლიური გეგმის
---------------------------------	------------------------	-----------------------


გადასახდელები - 2,051.1 მლნ ლარი	35.0% 3 თვის გეგმის	8.2% წლიური გეგმის
----------------------------------	------------------------	-----------------------

ნაშთის ცვლილება -192.4 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 261.6 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -93.3 მლნ ლარი
---------------------------------	---------------------------------	------------------------------




## სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 24,569.5 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარში შემოსულობების შესრულება შეადგენს 1,858.6 მლნ ლარს (წლიური გეგმის 7.6%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 266.4 მლნ ლარით (16.7%-ით) აღემატება.





„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 25,030.4 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარში გადასახდელების შესრულება შეადგენს 2,051.1 მლნ ლარს (წლიური გეგმის 8.2%) და 553.7 მლნ ლარით (37.0%-ით) მეტია წინა წლის იანვარის მაჩვენებელთან შედარებით.



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა<sup>1</sup> განსაზღვრულია 6,066.2 მლნ ლარით, ხოლო 1 თვის შესრულება მის 30.6%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 3 თვის გეგმის მიმართ შესრულების კარგი მაჩვენებლით ხასიათდება შემოსავლები - 33.3%, ფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება მაღალი დონით გამოირჩევა (91.6%). არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება 3 თვის გეგმის მხოლოდ 0.8%-ია, ხოლო ვალდებულებების ზრდის კომპონენტი -125.2 მლნ ლარს შეადგენს (საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით წმინდა შემოსულობების 162.8 მლნ ლარით შემცირების გავლენით).


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია 5,862.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 1 თვის შესრულება 3 თვის გეგმის 35.0%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 33.2%-ს უტოლდება. შესრულების კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება, ასევე, ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტები, შესაბამისად, 3 თვის გეგმის 33.5%-ს და 29.0%-ს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი კი შესრულების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა - 3 თვის გეგმის 50.5%.

[1] „საქართველოს 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება.




2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 1 თვეში შეადგინა 261.6 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - -93.3 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2020-2024 წლების 1 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,577.3 მლნ ლარი. იანვარში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის გამოყენებამ 192.4 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 თებერვლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 1,384.9 მლნ ლარის ოდენობით.



## სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2024 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელმა 1,858.6 მლნ ლარი შეადგინა. შემოსულობების ფორმირება (99.3%) ძირითადად განხორციელდა შემოსავლების (1,846.2 მლნ ლარი) ხარჯზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში, 2022-2023 წლებთან შედარებით მომატებულია, ძირითადად, გადასახადების მნიშვნელოვანი ზრდის გავლენით. ფინანსური აქტივების კლების სახით მიღებულ იქნა 137.3 მლნ ლარი, რაც მთლიანი შემოსულობების 7.4%-ს შეადგენს და მნიშვნელოვნად აჭარბებს წინა წლების მაჩვენებლებს (2023 წელს აღნიშნული შემოსულობების წილი მთლიან შემოსულობებში 4.3%-ს შეადგენდა, ხოლო 2022 წელს 1.0%-ს). მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობების წილი მთლიან შემოსულობებში მცირეა და 0.02%-ს შეადგენს. რაც შეეხება ვალდებულებების ზრდის მუხლის მაჩვენებელს, აღნიშნული კომპონენტი წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია და -125.2 მლნ ლარს უტოლდება, რაც დაკავშირებულია საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით შემოსულობების კლებასთან.




შემოსავლების სახით იანვარში მიღებულია 1,846.2 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 33.3% და წლიური გეგმის 8.9%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 220.6 მლნ ლარით (13.6%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები, ხოლო გრანტები და სხვა შემოსვლები გადაჭარბებით გამოირჩევა.

იანვარში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 1,642.4 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 31.5%-ს და წლიური გეგმის 8.6%-ს შეადგენს, რაც ძირითადად უკავშირდება საშემოსავლო გადასახადის, დღგ-სა და აქციზის მობილიზების შედარებით მაღალ მაჩვენებლებს (3 თვის გეგმის, შესაბამისად, 40.4%, 38.8% და 39.2%). გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 154.3 მლნ ლარით (10.4%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება განპირობებულია ძირითადად მოგების გადასახადის 106.8%-იანი ზრდით, აგრეთვე, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად, 14.8%-იანი და 13.5%-იანი მატებით.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დამკირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 76.1 მლნ ლარით (15.0%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 658.5 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 78.4 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 55.6 მლნ ლარით და იმპორტირებული პროდუქციიდან 22.7 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 16.2%-ით (24.8 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციიდან შემოსავლის 35.9 მლნ ლარით ზრდის შედეგად (მათ შორის, იმპორტირებული თამბაქოს, აგრეთვე, იმპორტირებული ბენზინის დაბეგვრიდან აქციზის სახით მიღებულია, შესაბამისად, 21.8 მლნ ლარით, და 9.6 მლნ ლარით მეტი შემოსავალი).



სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2023-2024 წლების 1 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებელი (67.8 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა, 3 თვის გეგმის 71.3%-ს და წლიური გეგმის 25.5%-ს შეადგენს, რაც დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებთან, რომლის სახით იანვარში ბიუჯეტში მიღებულია 3 თვის გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლის 102.6% (61.6 მლნ ლარი). ბიუჯეტში მიღებულია, აგრეთვე, საინვესტიციო გრანტები 1.3 მლნ ლარის ოდენობით და ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავალი - 1.4 მლნ ლარი. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 3.5 მლნ ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლები სახით იანვარში ბიუჯეტში მოხილვებულია 136.0 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 55.3% და წლიური გეგმის 10.1%. ძირითადი შემოსავალი (72.5%) მიღებულია საკუთრებიდან და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (14.7%, 20.0 მლნ ლარის ოდენობით).

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით იანვარში მიღებული შემოსულობები (0.3 მლნ ლარი) მცირეა და 3 თვის გეგმის 0.8%-ს შეადგენს. აღნიშნული შემოსულობები ძირითადად მიღებულია არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების სახით (კერძოდ, გაცემული სესხების დაბრუნებიდან) იანვარში უკვე მიღებულია 137.3 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 91.6% (წლიური გეგმის 45.8%), რაც წინა წლის მაჩვენებელს 69.0 მლნ ლარით აღემატება.


ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები -125.2 მლნ ლარს შეადგენს, ერთი მხრივ, საგარეო ვალდებულებების 37.6 მლნ ლარით ზრდისა და მეორე მხრივ, საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით შემოსულობების შემცირების შედეგად, კერძოდ, საგარეო დაფინანსების წყაროდან თანხები შემოვიდა საინვესტიციო კრედიტების სახით, 37.6 მლნ ლარის ოდენობით (3 თვის გეგმის 25.8%), ხოლო ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები არ არის მიღებული (3 თვის გეგმით აღნიშნული შემოსულობები არ არის გათვალისწინებული). რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ -162.8 მლნ ლარი შეადგინა.

	1 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	-125.2	-37.7%	-3.8%
<b>საგარეო</b>	37.6	25.8%	2.0%
საბიუჯეტო კრედიტები	0.0		
საინვესტიციო კრედიტები	37.6	25.8%	2.7%
<b>საშინაო</b>	-162.8	-87.5%	-10.9%

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2024 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 2,051.1 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 77.3%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, 2022-2023 წლებთან შედარებით, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია, ხოლო წილობრივად გადასახდელებში - შემცირებული. კერძოდ, 2022 წლის იანვარში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 79.5%-ს, ხოლო 2023 წლის იანვარში - 82.1%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2024 წლის იანვარში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 17.3% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 0.4% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 5.1%. 2023 წლის იანვარში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 9.8%-ის, 0.6%-ის და 7.5%-ის ოდენობებით, ხოლო, 2022 წლის იანვარში - 13.1%-ის, 0.03%-ის და 7.4%-ის ოდენობებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის 1 თვის გადასახდელების კომპონენტები (მლნ ლარი)




ხარჯების შესრულებამ იანვარში შეადგინა 1,584.6 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 33.2% და წლიური გეგმის 8.3%, რაც 2023 წლის მაჩვენებელზე 354.7 მლნ ლარით (28.8%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სოციალური უზრუნველყოფის (130.5 მლნ ლარი) მუხლზე. 3 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის (66.4%), სოციალური უზრუნველყოფის (33.1%), სხვა ხარჯების (32.0%) და შრომის ანაზღაურების (28.9%) მუხლები. 3 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების დაბალი დონით ხასიათდება გრანტების (23.8%), საქონელი და მომსახურებისა (24.3%) და სუბსიდიების (24.7%) მუხლები.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (283.8 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 226.3 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 57.5 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (616.1 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (457.5 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (121.0 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (25.0 მლნ ლარი).




სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2023-2024 წლების 1 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულება (355.2 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 50.5%-ს და წლიური გეგმის 8.5%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელების დიდი წილი მოდის თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (100.5 მლნ ლარი), საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (82.1 მლნ ლარი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (49.9 მლნ ლარი) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (38.6 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (7.5 მლნ ლარი), 3 თვის გეგმის 33.5%-ს და წლიური გეგმის 2.4%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელები სრულად მოდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების“ პროგრამის (პროგრამული კოდი 24 14) ფარგლებში გაცემულ სესხზე 4.5 მლნ ლარის ოდენობით და დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 3.0 მლნ ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების ზრდის შესრულება (მლნ ლარი)




ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება (103.8 მლნ ლარი) შესრულების კარგი დონით ხასიათდება და 3 თვის გეგმის 29.0%-ს შეადგენს, ხოლო, წლიური გეგმასთან მიმართებით - 7.3%-ს. აღნიშნული შესრულების დიდი წილი, 101.1 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	1 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების კლება	103.8	29.0%	7.3%
საგარეო	101.1	29.3%	7.3%
საშინაო	2.7	21.1%	6.3%

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, გადასახდელების იანვრის შესრულება მოიცავს დამატებით 1 პროგრამულ კოდს - "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა" (პროგრამული კოდი - 26 11) - რომლის ფარგლებშიც მოხდა 0.1 მლნ ლარის ათვისება.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულებას, იანვარში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 384.8 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 49.1% და წლიური გეგმის 13.0%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 42.3 მლნ ლარი, საიდანაც 30.3 მლნ ლარი წარმოადგენს სპეციალურ ტრანსფერს და 12.0 მლნ ლარი - კაპიტალურ ტრანსფერს. იანვარში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 25.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 12.4 მლნ ლარის, 1.0 მლნ ლარის და 0.1 მლნ ლარის ათვისება.

იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შეადგინა 1,939.8 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 35.4% და წლიური გეგმის 8.3%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ჭრილში:



# დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 1 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა*	2024 წლის 1 თვის შესრულება	შესრულების % 3 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
<b>შემოსულობები</b>	<b>1,592.2</b>	<b>24,569.5</b>	<b>6,066.2</b>	<b>1,858.6</b>	<b>30.6%</b>	<b>7.6%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>1,625.6</b>	<b>20,731.0</b>	<b>5,548.2</b>	<b>1,846.2</b>	<b>33.3%</b>	<b>8.9%</b>
გადასახადები	1,488.1	19,115.0	5,207.4	1,642.4	31.5%	8.6%
საშემოსავლო გადასახადი	571.8	6,345.1	1,626.0	656.5	40.4%	10.3%
მოგების გადასახადი	113.0	2,690.0	1,080.0	233.8	21.6%	8.7%
დღგ	580.2	7,388.3	1,699.4	658.5	38.8%	8.9%
აქციზი	153.1	2,375.0	454.0	177.9	39.2%	7.5%
იმპორტის გადასახადი	9.8	150.0	32.0	11.0	34.4%	7.3%
სხვა გადასახადები	60.2	166.6	316.0	-95.3	-30.2%	-57.2%
გრანტები	63.9	266.0	95.1	67.8	71.3%	25.5%
სხვა შემოსავლები	73.6	1,350.0	245.7	136.0	55.3%	10.1%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>0.1</b>	<b>200.0</b>	<b>36.0</b>	<b>0.3</b>	<b>0.8%</b>	<b>0.1%</b>
<b>ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>68.3</b>	<b>300.0</b>	<b>150.0</b>	<b>137.3</b>	<b>91.6%</b>	<b>45.8%</b>
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>-101.8</b>	<b>3,338.5</b>	<b>331.9</b>	<b>-125.2</b>	<b>-37.7%</b>	<b>-3.8%</b>
საგარეო	35.0	1,838.5	145.9	37.6	25.8%	2.0%
საშინაო	-136.8	1,500.0	186.0	-162.8	-87.5%	-10.9%
<b>გადასახდელები</b>	<b>1,497.4</b>	<b>25,030.4</b>	<b>5,862.9</b>	<b>2,051.1</b>	<b>35.0%</b>	<b>8.2%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>1,229.9</b>	<b>19,120.9</b>	<b>4,779.0</b>	<b>1,584.6</b>	<b>33.2%</b>	<b>8.3%</b>
შრომის ანაზღაურება	158.5	2,577.3	636.7	184.2	28.9%	7.1%
საქონელი და მომსახურება	109.5	2,232.0	602.9	146.8	24.3%	6.6%
პროცენტი	205.4	1,540.0	427.6	283.8	66.4%	18.4%
სუბსიდიები	32.5	1,044.9	236.8	58.4	24.7%	5.6%
გრანტები	72.1	1,513.0	361.6	86.2	23.8%	5.7%
სოციალური უზრუნველყოფა	485.6	7,470.4	1,860.9	616.1	33.1%	8.2%
სხვა ხარჯები	166.3	2,743.2	652.5	209.1	32.0%	7.6%
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>146.3</b>	<b>4,180.6</b>	<b>703.4</b>	<b>355.2</b>	<b>50.5%</b>	<b>8.5%</b>
<b>ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>8.3</b>	<b>305.6</b>	<b>22.3</b>	<b>7.5</b>	<b>33.5%</b>	<b>2.4%</b>
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>112.8</b>	<b>1,423.4</b>	<b>358.2</b>	<b>103.8</b>	<b>29.0%</b>	<b>7.3%</b>
საგარეო	110.2	1,380.6	345.5	101.1	29.3%	7.3%
საშინაო	2.6	42.7	12.7	2.7	21.1%	6.3%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)</b>	<b>94.9</b>	<b>-460.9</b>	<b>203.2</b>	<b>-192.4</b>		

\* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №518)

## დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 1 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 1 თვის შესრულება	შესრულების % 3 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
<b>შემოსავლები</b>	<b>1,625.6</b>	<b>20,731.0</b>	<b>5,548.2</b>	<b>1,846.2</b>	<b>33.3%</b>	<b>8.9%</b>
გადასახადები	1,488.1	19,115.0	5,207.4	1,642.4	31.5%	8.6%
გრანტები	63.9	266.0	95.1	67.8	71.3%	25.5%
სხვა შემოსავლები	73.6	1,350.0	245.7	136.0	55.3%	10.1%
<b>ხარჯები</b>	<b>1,229.9</b>	<b>19,120.9</b>	<b>4,779.0</b>	<b>1,584.6</b>	<b>33.2%</b>	<b>8.3%</b>
შრომის ანაზღაურება	158.5	2,577.3	636.7	184.2	28.9%	7.1%
საქონელი და მომსახურება	109.5	2,232.0	602.9	146.8	24.3%	6.6%
პროცენტი	205.4	1,540.0	427.6	283.8	66.4%	18.4%
სუბსიდიები	32.5	1,044.9	236.8	58.4	24.7%	5.6%
გრანტები	72.1	1,513.0	361.6	86.2	23.8%	5.7%
სოციალური უზრუნველყოფა	485.6	7,470.4	1,860.9	616.1	33.1%	8.2%
სხვა ხარჯები	166.3	2,743.2	652.5	209.1	32.0%	7.6%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>395.7</b>	<b>1,610.1</b>	<b>769.2</b>	<b>261.6</b>	<b>34.0%</b>	<b>16.2%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>146.2</b>	<b>3,980.6</b>	<b>667.4</b>	<b>354.9</b>	<b>53.2%</b>	<b>8.9%</b>
ზრდა	146.3	4,180.6	703.4	355.2	50.5%	8.5%
კლება	0.1	200.0	36.0	0.3	0.8%	0.1%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>249.4</b>	<b>-2,370.5</b>	<b>101.8</b>	<b>-93.3</b>	<b>-91.7%</b>	<b>3.9%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>34.8</b>	<b>-455.4</b>	<b>75.5</b>	<b>-322.3</b>	<b>-426.9%</b>	<b>70.8%</b>
ზრდა	103.1	305.6	225.5	7.5	3.3%	2.4%
ვალუტა და დეპოზიტები	94.9	0.0	203.2	0.0	0.0%	
სესხები	8.3	305.6	22.3	7.5	33.5%	2.4%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
კლება	68.3	760.9	150.0	329.8	219.9%	43.3%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	460.9	0.0	192.4		41.7%
სესხები	68.3	300.0	150.0	137.3	91.6%	45.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-214.6</b>	<b>1,915.1</b>	<b>-26.3</b>	<b>-229.0</b>	<b>870.9%</b>	<b>-12.0%</b>
ზრდა	-101.8	3,338.5	331.9	-125.2	-37.7%	-3.8%
საშინაო	-136.8	1,500.0	186.0	-162.8	-87.5%	-10.9%
საგარეო	35.0	1,838.5	145.9	37.6	25.8%	2.0%
კლება	112.8	1,423.4	358.2	103.8	29.0%	7.3%
საშინაო	2.6	42.7	12.7	2.7	21.1%	6.3%
საგარეო	110.2	1,380.6	345.5	101.1	29.3%	7.3%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		

### დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 1 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
<b>00 00</b>	<b>სულ ჯამი</b>	<b>25,030.4</b>	<b>5,862.9</b>	<b>2,051.1</b>	<b>8.2%</b>	<b>35.0%</b>
<b>01 00</b>	<b>საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები</b>	<b>86.6</b>	<b>22.2</b>	<b>5.6</b>	<b>6.4%</b>	<b>25.1%</b>
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	71.8	18.4	4.6	6.5%	25.1%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და სახედასხედველო საქმიანობა	25.8	6.5	1.6	6.4%	25.2%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	8.8	2.2	0.8	8.6%	34.5%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	37.3	9.7	2.2	6.0%	23.0%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	37.2	9.7	2.2	6.0%	23.0%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.0	0.0	10.1%	40.4%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.8	3.2	0.8	6.3%	25.2%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.2	0.1	8.1%	24.3%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.3	0.3	0.1	5.3%	20.5%
<b>02 00</b>	<b>საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია</b>	<b>9.6</b>	<b>3.4</b>	<b>0.4</b>	<b>4.7%</b>	<b>13.0%</b>
<b>03 00</b>	<b>საქართველოს ბიზნესობმუდსმენის აპარატი</b>	<b>0.9</b>	<b>0.2</b>	<b>0.1</b>	<b>7.1%</b>	<b>27.6%</b>
<b>04 00</b>	<b>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</b>	<b>27.0</b>	<b>6.7</b>	<b>1.7</b>	<b>6.4%</b>	<b>25.7%</b>
<b>05 00</b>	<b>სახელმწიფო აუდიტის სამსახური</b>	<b>23.3</b>	<b>7.1</b>	<b>1.5</b>	<b>6.2%</b>	<b>20.3%</b>
<b>06 00</b>	<b>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია</b>	<b>171.2</b>	<b>67.3</b>	<b>5.0</b>	<b>2.9%</b>	<b>7.5%</b>
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	29.9	8.3	1.8	6.1%	22.0%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.1	0.6	0.1	4.8%	15.8%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	3.2	1.1	8.3%	33.3%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	126.5	55.2	2.1	1.6%	3.7%
<b>07 00</b>	<b>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო</b>	<b>6.2</b>	<b>1.6</b>	<b>0.4</b>	<b>5.6%</b>	<b>22.3%</b>
<b>08 00</b>	<b>საქართველოს უზენაესი სასამართლო</b>	<b>17.4</b>	<b>4.4</b>	<b>1.1</b>	<b>6.2%</b>	<b>24.7%</b>
<b>09 00</b>	<b>საერთო სასამართლოები</b>	<b>137.5</b>	<b>29.9</b>	<b>7.2</b>	<b>5.2%</b>	<b>24.0%</b>
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	134.0	29.0	7.0	5.2%	24.1%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	3.5	0.9	0.2	5.6%	21.2%
<b>10 00</b>	<b>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო</b>	<b>10.6</b>	<b>2.5</b>	<b>0.4</b>	<b>3.9%</b>	<b>16.5%</b>
<b>11 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში</b>	<b>1.4</b>	<b>0.4</b>	<b>0.1</b>	<b>6.6%</b>	<b>23.4%</b>
<b>12 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1.1</b>	<b>0.3</b>	<b>0.1</b>	<b>5.9%</b>	<b>20.9%</b>
<b>13 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში</b>	<b>1.4</b>	<b>0.4</b>	<b>0.2</b>	<b>11.5%</b>	<b>37.4%</b>
<b>14 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1.2</b>	<b>0.3</b>	<b>0.1</b>	<b>6.1%</b>	<b>21.0%</b>

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 1 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.1	6.0%	21.7%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, თნისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.4	0.1	6.9%	23.0%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.1	7.1%	25.7%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.5	0.5	0.1	6.2%	16.5%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.1	6.5%	24.2%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	210.0	53.1	13.3	6.4%	25.1%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	161.2	39.9	10.9	6.8%	27.4%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	45.3	12.3	2.3	5.1%	18.9%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	3.5	1.0	0.1	3.4%	12.2%
21 00	საქართველოს პროკურატურა	63.2	16.6	3.8	6.0%	22.8%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4.0	1.5	0.2	4.9%	13.4%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	114.0	33.2	5.4	4.7%	16.3%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	31.3	7.8	1.6	5.1%	20.2%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	25.0	9.7	0.1	0.5%	1.3%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	44.1	12.1	2.8	6.3%	22.9%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	9.6	2.5	0.7	7.1%	27.2%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1.3	0.4	0.1	7.8%	23.4%
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	2.7	0.7	0.1	5.5%	21.7%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	801.0	196.1	21.2	2.6%	10.8%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	21.1	4.6	1.2	5.7%	26.2%
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	2.1	0.6	0.2	7.3%	25.6%
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	1.2	0.5	0.1	9.4%	20.7%
24 04	ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები	1.8	0.5	0.1	8.1%	30.5%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	33.5	9.2	2.5	7.3%	26.7%
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	152.1	57.2	0.0	0.0%	0.0%
24 07	მეწარმეობის განვითარება	304.9	69.2	5.1	1.7%	7.4%
24 07 01	მეწარმეობის განვითარების ადმინისტრირება	4.9	1.2	0.3	6.2%	24.8%
24 07 02	მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა	300.0	68.0	4.8	1.6%	7.1%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	81.1	28.4	6.5	8.0%	22.9%
24 09	ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	0.8	0.3	0.1	11.3%	31.4%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	22.0	3.5	0.0	0.0%	0.0%
24 11	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	12.0	5.5	0.0	0.0%	0.0%

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 1 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
24 12	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB)	5.0	0.6	0.0	0.0%	0.0%
24 13	ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF)	3.0	0.0	0.0	0.0%	
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	125.0	10.6	4.6	3.7%	43.6%
24 14 01	რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი	120.0	10.6	4.6	3.9%	43.6%
24 14 01 01	500 კვ ევხ „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (EU-NIF, KfW)	40.0	6.3	0.0	0.0%	0.0%
24 14 01 02	„ჩრდილოეთის რგოლი“ (EBRD), „ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანური“ (EU-NIF, EBRD, KfW)	15.0	0.3	0.0	0.0%	0.0%
24 14 01 03	500 კვ ევხ „ჯვარი-წყალტუბო“ (WB)	25.0	1.0	4.2	16.7%	417.5%
24 14 01 04	გურიის ელგადამცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF, KfW)	20.0	1.6	0.0	0.0%	0.0%
24 14 01 05	კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW)	5.0	0.2	0.1	2.3%	64.4%
24 14 01 06	„ხელედეულა-ლაჯანური-ონი“ (KfW)	15.0	1.3	0.3	2.2%	25.7%
24 14 02	შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (WB)	5.0	0.0	0.0	0.0%	
24 15	მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	3.6	0.2	0.1	1.8%	26.9%
24 16	საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა	1.4	0.4	0.2	12.2%	42.8%
24 17	ანაკლიის ღრმანწყლოვანი ნავსადგურის განვითარება	3.4	1.0	0.0	1.0%	3.5%
24 18	ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები	5.6	0.0	0.0	0.0%	
24 19	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EU, EBRD, EIB)	5.0	0.0	0.0	0.0%	
24 20	სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარება	9.1	1.8	0.3	3.2%	15.9%
24 21	კურორტების განვითარების ხელშეწყობა	5.8	1.6	0.1	1.7%	6.4%
24 22	სარკინიგზო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება	1.5	0.4	0.1	4.1%	14.3%
<b>25 00</b>	<b>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</b>	<b>3,400.7</b>	<b>440.8</b>	<b>147.2</b>	<b>4.3%</b>	<b>33.4%</b>
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	9.2	2.0	0.6	6.3%	28.8%
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	1,933.6	261.8	103.3	5.3%	39.5%
25 02 01	საავტომობილო გზების პროგრამების მართვა	11.6	2.9	0.8	6.8%	27.3%
25 02 02	საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა	697.0	113.9	62.2	8.9%	54.7%
25 02 03	ჩქაროსნული ავტომობილების მშენებლობა	1,225.0	145.0	40.3	3.3%	27.8%
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	315.7	43.1	15.5	4.9%	36.0%
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	550.0	74.0	0.0	0.0%	0.0%
25 05	მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა	65.0	8.4	6.3	9.6%	74.1%
25 06	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	5.0	1.5	0.9	17.8%	59.3%
25 07	ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	361.3	30.1	16.7	4.6%	55.6%
25 07 01	საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია	136.3	11.6	2.1	1.6%	18.4%
25 07 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	225.0	18.5	14.6	6.5%	78.8%
25 08	ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	161.0	20.0	4.0	2.5%	19.9%
<b>26 00</b>	<b>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</b>	<b>414.7</b>	<b>114.8</b>	<b>22.1</b>	<b>5.3%</b>	<b>19.2%</b>

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 1 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	78.6	39.2	11.7	14.9%	29.8%
26 02	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	266.0	52.7	6.4	2.4%	12.2%
26 02 01	პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება	212.0	44.2	4.0	1.9%	9.1%
